სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“
მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81-100.

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური სპეციალობაში და საერთო სამაგისტრო გამოცდა.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

1. აბიტურიენტმა მოცემულ თემაზე უნდა შეთხზას ვარიაციული ფორმის ნაწარმოები. სასურველია, ნაწარმოები აწყობილ იქნეს ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში - Finale/Sibelius. (სამუშაო დრო 6 ასტრონომიული საათი);
2. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს დიდი ფორმის ახალი ნაწარმოები – ქრონომეტრაჟი არანაკლებ 10 წუთის სანოტო ჩანაწერი. ნაწარმოები უნდა იყოს აკრეფილი ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში (Finale/Sibelius) და წარმოდგენილი როგორც ამობეჭდილი, ასევე აუდიო/ვიდეო ჩანაწერების სახით. (ადრე შეფასებული ნაწარმოების გამოტანა არ შეიძლება).

შენიშვნა: თუ სამაგისტრო პროგრამაზე „კომპოზიცია“ აბარებს, პირი, რომელიც სხვა სპეციალობის სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრია, ამ შემთვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სხვადასხვა შემადგენლობისთვის შექმნილი რამდენიმე (არანაკლებ ოთხისა) განსხვავებული ფორმისა და ჟანრის ნაწარმოები (მცირე ფორმა, ვარიაციული, სონატური, ფუგირებული /სავალდებულოა/ და ა.შ.).